www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

III კვარტალი, 2023 წელი

14.12.2023
www.geostat.ge

14.12.2023

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

(III კვარტალი, 2023 წელი)

2023 წლის მესამე კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის და უფროსი ასაკის ადგილობრივი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 1 405.0 ათასით განისაზღვრა, რომელთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 1 766.7 ათასი ერთეული შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა გაიზარდა 9.2 პროცენტით, ხოლო მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 20.1 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

დიაგრამა №1 ასახავს 2022-2023 წლების მესამე კვარტალებში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურ რაოდენობებს.

დიაგრამა №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა



2023 წლის მესამე კვარტალში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 822.2 ათასით განისაზღვრა, რაც 6.1 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. დიაგრამა №2 ასახავს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

დიაგრამა №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



2023 წლის მესამე კვარტალში ვიზიტორების 35.7 პროცენტი მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ამასთან, ქალების რაოდენობა ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 55.3 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №3

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2023 წლის III კვარტალში



დიაგრამა №4

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით 2023 წლის III კვარტალში



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ვიზიტორების 37.2 პროცენტი ქ. თბილისის მაცხოვრებელია, 15.8 პროცენტი მოდის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე, 9.1 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე, ხოლო დანარჩენი რეგიონები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით არის წარმოდგენილი.

დიაგრამა №5 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით.

დიაგრამა №5

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით 2023 წლის III კვარტალში, %



2023 წლის მესამე კვარტალში ვიზიტების უმრავლესობა (43.7 პროცენტი) განხორციელდა მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით.

ცხრილი №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით 2023 წლის III კვარტალში, ათასი

ვიზიტის მიზანი	რაოდენობა	წილი, %
მეგობრების/ნათესავების მონახულება	772.1	43.7
შოპინგი	305.5	17.3
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	291.9	16.5
მეორე სახლის მონახულება (აგარაკი ან სხვ.)	168.7	9.6
მკურნალობა, გაჯანსაღება	144.7	8.2
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	36.4	2.1
სხვა	47.5	2.7
სულ	**1 766.7**	**100.0**

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა იმერეთის რეგიონში (საშუალოდ 368.7 ათასი ვიზიტი თვეში) და ქ. თბილისში (საშუალოდ 364.3 ათასი ვიზიტი თვეში). დიაგრამა №6 ასახავს ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №6

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2023 წლის III კვარტალში



დიაგრამა №7 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

14.12.2023

დიაგრამა №7

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით 2023 წლის III კვარტალში



2023 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა განისაზღვრა 366.2 მილიონი ლარით. აღნიშნული მაჩვენებელი 5.8 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, ვიზიტზე გაწეული საშუალო ხარჯი შემცირდა 11.9 პროცენტით და 207.3 ლარს გაუტოლდა.

14.12.2023

ცხრილი №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით 2023 წლის III კვარტალში

ხარჯის ტიპი	ხარჯი (მლნ. ლარი)	წილი, %	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საკვები და სასმელი	112.1	30.6	63.5
საყიდლები	108.5	29.6	61.4
ტრანსპორტი	70.7	19.3	40.0
განთავსება	34.4	9.4	19.5
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	5.5	1.5	3.1
სხვა	35.0	9.6	19.8
სულ ხარჯი	**366.2**	**100.0**	**207.3**

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

დავით ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge